ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**დავით მაღლაკელიძე**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2020 – 01.11.2021
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე;
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 22 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 23 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 20 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 57;

  განკარგულება - 190.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია:

    ჩატარდა: - 9 სხდომა; დასწრება: - 7 სხდომა

  ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში**

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

  ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

  ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

  გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2020-2021 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

  დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

  ე) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ფრაქცია „ ქართული ოცნება - კონსერვატორები“ აქტიურად იყო ჩართული 2021 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში, სადაც ფრაქციის წევრების ინიციატივით არაერთი წინადადება იქნა წარდგენილი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა:

სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება;

სოციალური მომსახურებების გაუმჯობესება;

გზების რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული ღონისძიებები;

ვადაგადაცილებულ მშენებლობებთან დაკავშირებით სპეციალური ინიციატივის შესახებ;

ფრაქცია უწყვეტ რეჟიმში მუშაობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ქალაქ რუსთავის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების შემსრულების მიმდინარეობა, კერძოდ:

სოციალური და ჯანდაცვის საკითხების მიმართულება;

ქალაქში განსახორციელებელი ინფრასტრუქტუტული პროექტების შემუშავება;

მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარეობდა სისტემატიურად,

თარიღი: 29.10.2021

ხელმოწერა: დავით მაღლაკელიძე